# ვლადიმერ იაშჩენკო — 234!


ТБИЛИСИ
МЕЖДУНАРОДНЫЕ ЛЕГКОАТЛЕТИЧЕСКИЕ СОРЕВНОВАНИЯ
1978
XIV
НА ПРИЗЫ ГАЗЕТЫ
ПРАВДА
16-17 ივნისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 118 (6173)

1978 წ. 18 ივნისი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совета Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# დ უ ე ლ ი

## საკუთარ თავთან

**თამასა** 236 სანტიმეტრზეა გადებული. მსოფლიოში ჯერ არც ერთ სპორტსმენს არ შეუბედავს ამ სიმაღლისათვის, ტრიბუნებიდან იგი საოცრად შორეული და მიუწვდომელი ჩანს, თუმცა, ალბათ მხტომელთა სექტორშიც არ ეჩვენებათ იოლად გადასალახავი. „დასძლევს!", „ვერ დასძლევს..." — ორად იყოფა მაყურებელთა აზრი, მაგრამ არავინ იცის, რას ფიქრობს თვითონ მთავარი გმირი იმ უცნაური დუელისა, სადაც მოწინააღმდეგე კონკრეტული ადამიანი კი არა, საკუთარი პიროვნების ძნელად დასაჯაბნი შინაგანი წინააღმდეგობებია — ეჭვი, დაძაბულობა, მღელვარება და კიდევ, რაც მთავარია, სულ ახლახან, რამდენიმე წუთის წინ დამყარებული მსოფლიოს ახალი რეკორდით გამოწვეული უსაზღვრო სიხარული! შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვლადიმერ იაშჩენკო იტყვის: „236 სანტიმეტრზე იერიშის მიტანა თბილისელი მაყურებლის ერთსულოვანმა მხარდაჭერამ გამაბედვინა და თუმცა დღეს ამ სიმაღლეს ვერაფერი მოვუხერხე, იმედი ჩამესახა, რომ ახლო მომავალში უეჭველად დავძლევ მას. არასდროს დამავიწყდება თბილისი, ვერასოდეს დავივიწყებ თბილისელებს!"

ახლა კი სპორტსმენი სარბენ ბილიკებთან დგას და შორიდან უმზერს თავის დიდი ხნის ოცნებას.

236 სანტიმეტრი!...

არადა ბრძოლა საკმაოდ მშვიდად დაიწყო. სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში თერთმეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი.

**200 სანტიმეტრი.** ეს სიმაღლე მხოლოდ ხუთმა ათლეტმა მოსინჯა. მათ შორისაა ერთადერთი უცხოელი სახილ ხამირი. მისი საუკეთესო შედეგი 214 სანტიმეტრია და იგი ალჟირის რეკორდად ითვლება.

**205 სანტიმეტრი.** აქ უკვე 12 სპორტსმენი მონაწილეობს...

**210.** ასპარეზობაში ვლადიმერ იაშჩენკოც ებმება, მაგრამ მხოლოდ მეორე ცდის შემდეგ ახერხებს ამ სიმაღლის დაძლევას.

**215.** ბრძოლა მწვავდება. სიმაღლის გადალახვას მხოლოდ რვა სპორტსმენი ახერხებს. ვლადიმერმა გამოტოვა იგი...

**218.** მსოფლიოს რეკორდსმენმა ეს სიმაღლეც გამოტოვა. ბრძოლას კი მის გარდა კიდევ ოთხი მხტომელი აგრძელებს.

**220.** იაშჩენკო მესამე ცდაზელა ევლება თამასას. ქუიბიშეველი გ. ბელკოვი და კრასნოდარელი ა. პერევეზენცევი პირველივე ცდაზე ახერხებენ ამას. ახლა ვ. კიბამ გამოტოვა სიმაღლე. ბრძოლა უაღრესად იძაბება. სიმაღლეზე ხტომა ტაქტიკითა და ფსიქოლოგიური სიტუაციებით ძალზე ჩამოგავს ძალოსნობას, განსხვავება ერთია — აქ სანტიმეტრებს უმატებენ, იქ — კილოგრამებს...

იაშჩენკომ **222 სანტიმეტრი** გამოტოვა და ეს მაშინ, როცა წინა სიმაღლეს მხოლოდ მესამე ცდაზე დაეუფლა... პერევეზენცევი პირველივე გარბენით ევლება თამასას. ბელკოვი და კიეველი კიბა სიმაღლის დაძლევას ორ-ორ ცდას ანდომებენ.

**224 სანტიმეტრი** ამ საერთაშორისო შეჯიბრების შარშანდელი მიღწევაა. სოჭში ეს სიმაღლე მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა როლფ ბაილშმიდტმა დასძლია.

ახლა ბელკოვმა მიიტანა ფსიქოლოგიური იერიში მეტოქეებზე (გამოტოვა 224 სანტიმეტრი), რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია — კიბა და პერევეზენცევი შეჯიბრებას გამოეთიშნენ. ვლადიმერ იაშჩენკო ისევ მეორე ცდაზე გადაევლო თამასას.

**226 სანტიმეტრი.** დაძაბულობა უმაღლეს წერტილს აღწევს. ორნიღა იბრძვიან — ბელკოვი და მსოფლიოს რეკორდსმენი. ეს უკანასკნელი სტოვებს სიმაღლეს. ბელკოვი თითქოს შოკშია, პირველ ორ ცდაზე ვერაფერს ახერხებს, მერე კი გამორბენი, შესანიშნავი ნახტომი და თამასა დაძლეულია.

**228 სმ.** სწორედ აქ გამოჩნდა ვლადიმერ იაშჩენკოს საოცარი ტაქტიკური აზროვნება, ღრმა ფსიქოლოგიური მომზადება და რწმენა საკუთარი თავისა. მან ეს სიმაღლეც გამოტოვა! გენადი ბელკოვი იძულებულია გადახტეს, თუმცა აშკარად ეტყობა, რომ დაიღა-

(დასასრული მე-2 გვ.).



მსოფლიოს ახალი რეკორდის ავტორი ვლადიმერ იაშჩენკო.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

**თბილისის** თაკარა სიცხეს გაზეთ „პრავდის" პრიზებზე მოასპარეზე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეების სწრაფვა გამარჯვებისკენ ოდნავადაც არ შეუნელებია: ბილიკებზე, ხტომისა თუ ტყორცნის სექტორში პირველიდან ბოლო გარბენამდე, ყველა ცდაზე უშელავათო ბრძოლები მიმდინარეობდა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, თავისი ლოგიკური შედეგი — რეკორდების გაუმჯობესება უნდა მოჰყოლოდა.

მართლაც, სტადიონის დიქტორის პირველი ცნობა ამ მიმართებით უკვე ასპარეზობის დაწყებიდან მეათე წუთზე გაისმა, როცა ალმაათელმა ვ. პერევალოვმა სამხტომში თავისი რესპუბლიკის რეკორდი გააუმჯობესა, თითქმის 20 ათასზე მეტი მაყურებელი ოვაციებით შეხვდა პირველ მერცხალს და უკეთესის მოლოდინში ბრძო-

# დღის მშვენება

## უკანასკნელ სწორზე

ლის პერიპეტიებს არც ერთ მომენტს მხედველობიდან არ უშვებდა.

სულ მალე ახალი ცნობაც გაისმა...

400 მეტრზე ქალთა ასპარეზობის პირველი დღე წინასწარ გარბენებს დაეთმო, მას უნდა შეერჩია ის რვა უძლიერესი, ვინც გამარჯვებისთვის იბრძოლებდა. ერთ-ერთ გარბენში კიეველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მ. კულჩუნოვამ, რომელსაც 20 წელი ჯერ არ შესრულებია, ფინიშამდე მისვლას 50,87 წამი მოანდომა. ეს 0,11 წამით სჯობნს საკავშირო რეკორდს.

მაგრამ, თურმე, ამდღევანდელი შეჯიბრების მშვენება მაინც საღამოს იყო მოსალოდნელი. ტურნირის პირველი დღის ნამდვილი გმირი აღმოჩნდა ზაპოროჟიელი სტუდენტი ვ. იაშჩენკო, — სიმაღლეზე ხტომაში ორივე მსოფლიო მიღწევის ავტორი.

როგორც ცნობილია, სტადიონებზე მისი მსოფლიო რეკორდი 233 სმ-ია, ხოლო დახურულ დარბაზებში — 235. და აი, ახლა აქ მან საზაფხულო რეკორდი ერთი სანტიმეტრით მაღლა აწია.

ალარას ვამბობთ საკავშირო იუნიორთა მიღწევებზე, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეროვნულ რეკორდებზე, რომლებიც ამ შეჯიბრებაში საკმაო გახლდათ.

ბევრი სხვა სახეობაც იყო ისეთი, რომლებშიც რეკორდები არ გაუმჯობესებულა, სამაგიეროდ ბრძოლის სიმწვავე იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ათასობით მაყურებელი სპორტსმენებს ფინიშამდე ფეხზე ამდგარი ყიჟინითა და ოვაციებით აცილებდა.

...შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე, როგორც წესი, რვა სპორტსმენი გავიდა. მათ შორის ხუთი მასპინძელი, ერთი (ს. გუმბა) მასპინძელთმასპინძელი, ორი — გდრ-ისა და ერთიც პოლონელი მძლეოსანი გახლდათ.

შეჯიბრებას გმხს უდავოდ მატებდა მასში ევროპის რეკორდსმენის ა. ფუქსის (გდრ) მონაწილეობა. შარშან ამ 31 წლის სპორტსმენის საუკეთესო მაჩვენებელი 68,92 მ

მისსავე ევროპულ რეკორდს მხოლოდ 20 სმ-ით ჩამორჩებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ფუქსი აშკარად საუკეთესო სპორტულ ფორმაში აღმოჩნდებოდა და გულშემატკივრებს რეკორდით გაახარებდა, მაგრამ... მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა — 58,28. მას თანაგუნდელმა უ. ჰომოლამაც აჯობა, რომელიც შარშან მსოფლიოს უძლიერესთა ოცეულში XVIII ადგილზე იმყოფებოდა.

პირველობა მოიგო ლენინგრადელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. ნაკონიროვამ. იგი ფუქსის თანატოლია და დამოუკიდებლად ვარჯიშობს. ეტყობა სპორტსმენს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოსკოვის ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნაკრებში დაიმკვიდროს ადგილი. მას ამის შანსი აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ

(დასასრული მე-2 გვ.).

# ნახტომი თბილისის ცაში

მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე

## ვლადიმერ იაშჩენკო: „ვგრძნობდი, რაღაც მოხდებოდა“







**ბედნიერი** და... დაღლილი ვლადიმერ იაშჩენკო ძლივს ახერხებდა მადლობის სიტყვების თქმას. „სპორტის დედოფლის“ თაყვანისმცემელთა გაუთავებელ მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. თბილისის „დინამოს“ ახალ სტადიონზე პირველი მსოფლიო რეკორდის ავტორი ამაოდ ცდილობდა გაერღვია გულშემატკივართა წრე.

რეკორდსმენი, როგორც იქნა დავიმარტოხელეთ. „შუაღამის ინტერვიუ“, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ რომ ჩანდა, რეალობად იქცა.

**— გილოცავთ ჩვენს სტადიონზე არნახული სიმაღლის დაპყრობას. გჯეროდათ თუ არა წარმატებას რომ მიაღწევდით?**

— თბილისში დიდი სიცხის მიუხედავად შესანიშნავად ვარ, თითქოს ვგრძნობდი, რომ „რაღაც მოხდებოდა“. ვიცი, თბილისელ გულშემატკივრებს ფეხბურთი ყველაფერს ურჩევნიათ, მაგრამ მათ მძლეოსნობისადმიც დიდი ერთგულება გამოიჩინეს, შევამჩნიე, ტრიბუნებს მაშინაც არავინ ტოვებდა, დავა გვიანობამდე რომ გაგრძელდა. მე ქედს ვიხრი სპორტისადმი ასეთი სიყვარულის წინაშე!

**— რას იტყვით თქვენს მეტოქეებზე?**

— ალექსანდრე გრიგორიევი და სერგეი სენიუკოვი რომ ჩამოსულიყვნენ, შეჯიბრება ალბათ უფრო საინტერესო იქნებოდა. მეორე ადგილზე გასულმა კუიბიშეველმა გენადი ბელკოვმა თბილისში 226 სანტიმეტრი დაძლია. ეს მისი პირადი რეკორდია, ვფიქრობ, მეტის გაკეთება შეეძლო გამოცდილ დინამოელ ვლადიმერ კიბას.

**— ვის თვლით დღეს თქვენს ძირითად კონკურენტებად?**

— ისევ და ისევ ამერიკელ დუაიტ სტოუნზს, პოლონელ იაცეკ ვშოლასა და როლფ ბაილშმიდტს დემოკრატიული გერმანიიდან.

**— არსებობს თუ არა სიმაღლეზე ხტომაში რეკორდების ზღვარი, შეიძლება თუ არა კაცი მაგალითად, 250 სმ-ს გადაევლოს?**

— ოდესმე, ალბათ, ამ სიმაღლესაც დაიპყრობენ. სპორტი ხომ სწრაფად ვითარდება და რეკორდებიც სისტემატურად იზრდება.

ო. ნოზაძე.

* * *

**სურათებზე: მარცხნიდან — იაშჩენკო ნახტომისთვის ემზადება; თამასა დაძლეულია; რეკორდის დამყარებით გამოწვეულ სიხარულს ხაზღვარი არა აქვს.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.

Привет отважным
космонавтам, штурмую-
щим просторы вселенной.
Вам посвящаю земной
рекорд — 2.34 Тбилиси
16 июня 1978 г.

**ინტერვიუს დასასრულს ვ. იაშჩენკომ ასეთი წარწერა გაგვიკეთა:**




ნახტომი თბილისის ცაში.   გ. იაშვილის ნახატი.

## სტუმარ-მასპინძლები

**ჩვენს** დედაქალაქს ათასამდე სპორტსმენი, მწვრთნელი, მსაჯი, ჟურნალისტი ეწვია. რა თქმა უნდა, თბილისელები ცდილობენ ცნობილი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინონ და შინ გულნაკლული არავინ გაუშვან. ამ საქმის ინიციატორები ახალგაზრდები, კომკავშირელები, მთლიანი საწარმოები და დაწესებულებებია, რომლებიც შეფობას უწევენ ცალკეულ გუნდებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დინამოელების შეფია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი — „ბურევესტნიკის“ მძლეოსნებისა, მედინსტიტუტი — საბჭოთა არმიის ათლეტებს შეფობს, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო სპარტაკელებზე, ხოლო დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა „ტრუდის“ მძლეოსნებზე ზრუნავენ.

საბჭოთა ნაკრების ყველაზე მრავალრიცხოვან დელეგაციას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება შეფობენ.

რაც შეეხება უცხოელებს, მათ გვერდიდან არ შორდებიან რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეფებმა სტუმრებისთვის საკმაოდ საინტერესო პროგრამა შეადგინეს და უნაკლოდაც ახორციელებენ.

## დუელი საკუთარ თავთან

დასასრული

ლა, ნერვებმაც უმტყუნეს — ძნელია მსოფლიოს რეკორდსმენთან ბრძოლა. მართალია უპირატესობა მის მხარესაა, აკი 226 სანტიმეტრის დაძლევა მარტო მან შეძლო, იაშჩენკოს ბოლო ნახტომი მხოლოდ 224-ს უდრიდა, მაგრამ კარგად გრძნობს მეტოქის პოტენციურ ძალას და იმასაც, რომ მის ზურგს უკან მსოფლიოში საუკეთესო მხტომელი დგას. იქნებ ამის ბრალი თუ იყო, რომ კუიბიშეველ სპორტსმენს სამივე ცდამ ფუჭად ჩაუარა... ახლა საკმარისია ვლადიმერმა 230 სანტიმეტრი გადალახოს და პირველი ადგილიც განადებული ექნება. ელექტროტაბლოზე კი მოულოდნელად ინთება ციფრი 234!

**234 სანტიმეტრი.** ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია!

მაყურებელი მქუხარე ტაშით ეგებება ამ ციფრის გამოჩენას. იქნებ თბილისსაც გაუღიმოს ბედმა და „დინამოს“ სტადიონზეც დამყარდეს მსოფლიოს რეკორდი. ვლადიმერ იაშჩენკო გადასახტომად ემზადება, ალბათ ასეთი სიჩუმე არასდროს ყოფილა ჩვენი სტადიონის ტრიბუნებზე...

პირველმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა.

მაყურებელი ტაშით ამხნევებს სპორტსმენს.

ისევ სიჩუმე. ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებს კაცი. გამორბენი და... 234 სანტიმეტრი დაძლეულია!

უნებურად საათს დავხედე — 16 ივნისი, თბილისის დროით 22 საათი და 34 წუთია, მართლაც რომ იშვიათი დამთხვევაა. ალბათ გამიჭირდება იმ სიხარულის აღწერა, რასაც მაშინ „დინამოს“ სტადიონის აგუგუნებული ტრიბუნები გამოხატავდნენ, არც შევეცდები, ამას თვითონ მკითხველიც ადვილად წარმოიდგენს.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა. ვლადიმერ იაშჩენკომ ფენომენალური შედეგი უჩვენა, მაგრამ ბრძოლა საკუთარ თავთან გრძელდება — თამასა ახლა 236 სანტიმეტრზეა გადებული!

ძნელია მსოფლიოს რეკორდის დამყარება, მაგრამ უფრო ძნელია ათიოდე წუთის შემდეგ მისი გაუმჯობესება. კაცს რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს, ეს რომ შეძლოს, იაშჩენკო კი საბედნიეროდ ჩვენსავით ჩვეულებრივი ადამიანი გამოდგა, მაგრამ ისეთი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა კაცობრიობა, რომ ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა განუსაზღვრელად იზრდება...

თამასა 236 სანტიმეტრზეა გ[...]დებული...

ნ. ზაქაიძე.

დასასრული

შარშანდელი საუკეთესო შედეგი (57,30 მ) ამ შეჯიბრებაში 5,32 მეტრით გააუმჯობესა, რამაც ნიკონოროვას პირველი ადგილი მოუპოვა. ნიკონოროვა შარშანდელი შედეგებით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა შორის მეხუთე იყო (ლიდერთან, ს. ბაბიჩთან 5,16 მეტრს აგებდა), ახლა კი, ერთბაშად პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მწვრთნელი ვერც მეორე ადგილზე გასულ ტალინელ ი. პუტინენეს დაემდურება, რადგან შარშანდელი პირადი მიღწევა (56,92) თბილისში თითქმის 2,5 მეტრით გააუმჯობესა. სასაყვედურო არც საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ი. გიგაურს უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მისმა მოსწავლემ ს. გუმბამ უძლიერესთა ჯგუფში VIII ადგილი დაიკავა — 54,86 მ.

1500 მეტრზე რბენაში პრიზიორები წინასწარ გარბენში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ვლინდებოდნენ. ოღონდ ეგ იყო, უძლიერესებს ერთ გარბენში მოუყარეს თავი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ „სუსტების“ შეჯიბრებაში ვინმეს უკეთესი შედეგი ეჩვენებინა და იგი პრიზიორი არ გამხდარიყო.

## დღის მშვენება

როცა ქალთა მეორე გარბენი დაიწყო, უკვე აშკარად იგრძნობოდა, რომ საუკეთესონი, ისინი, ვინც პრიზებს მიიღებდნენ სწორედ ამ გარბენში იყვნენ. შუა დისტანციის მერე, წინა გარბენის გრაფიკთან შედარებით ახლა სპორტსმენები რამდენიმე წამით წინ იყვნენ. ეს კი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ გამარჯვებული მხოლოდ ამ გარბენს უნდა გამოევლინებინა.

უკანასკნელ სწორზე პირველი ანდიჟანელი ზ. ზაიცევა-ახტიამოვა გავიდა, მაგრამ ფინიშამდე ძალა არ ეყო უპირატესობა შეენარჩუნებინა და იგი საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა — 4.10,1, რაც სპორტსმენის პირადი რეკორდია და შარშანდელ მის მიღწევას 0,2 წამით სჯობს.

მისმა თანაქალაქელმა ს. ულმასოვამ, რომელსაც საბჭოთა მძლეოსნობის მოყვარულები საკავშირო კროსებში გამარჯვებით იცნობენ, ამ დისტანციაზე შარშანდელ პირად მიღწევას (4.13,6) თბილისში 2,9 წამი ჩამოაჭრა. შეჯიბრებაში IV ადგილის მოპოვების მიუხედავად იგი კმაყოფილი დარჩა.

...უკანასკნელ სწორზე ზაიცევ[...] ჯერ ნ. მარაშესკუმ, ხოლო შემდე[...] მ. პუიკამ (ორივე — რუმინეთ[...]) გაასწრეს. ეს ის მარაშესკუა, რ[...] მელმაც შარშან მსოფლიოში საუ[...] კეთესო შედეგი (4.02,7) მოიპო[...] მართალია, ახლა იგი საუკეთე[...] სპორტული ფორმიდან შორსაა, მ[...] გრამ თბილისში გამარჯვებისთვ[...] 4.08,4 ეყო, ხოლო პუიკა მას წ[...] მით ჩამორჩა.

ფინიშის შემდეგ მარაშესკუ[...] ინტერვიუ ვთხოვეთ. მოკლედ მ[...] გვიგო:

— ძმები ზნამენსკების მემორ[...] ალზე უკეთესად ვიასპარეზებ, [...] დავპირდებით. განზრახული მაქ[...] წლეულს სეზონის დამლევისათვ[...] ოთხი წუთის ზღვარიდან გამო[...] ვიდე, ხოლო მოსკოვის ოლიმპი[...] დაში აუცილებლად საპრიზო ადგ[...] ლისთვის ვიბრძოლებ. ნება მომ[...] ცით თქვენი გაზეთის საშუალე[...] ბით მადლობა გადავუხადო თბ[...] ლისელ სპორტის მოყვარულებ[...] რომლებმაც ჩემი და პუიკას წა[...] მატება ასე განიცადეს.

ო. გელაშვილ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე




# …ამები, …ეტრები...

…თბილისის „დინამოს“ სტადი…ზე დამთავრდა მძლეოსანთა სა…რთაშორისო შეჯიბრება გაზეთ …პრავდის“ პრიზებზე. გამარჯვებუ…ნი კიდევ პროგრამის 22 სახეო…აში გამოვლინდნენ. ამ დღეს მას…ინძლებიდან თავი ყველაზე მე…ად გამოიჩინეს თბილისის არმი…ლთა სპორტკლუბის წევრმა ს. …კრიპკამ, რომელმაც 3000 მეტრზე …ინალობებით რბენაში IV ადგილი …აიკავა და „ბურევესტნიკის“ წევ…მა ნ. ლაზაძემ, რომელმაც ქალ…ა შორის ბადროს ტყორცნაში …8,40 მეტრი აჩვენა და VIII ად…ილზე გავიდა.

…ეს დღეც საბჭოთა სპორტსმენე…ის აშკარა უპირატესობით ალინი…ნა. ასპარეზობის პროგრამის ამო…წურვის შემდეგ შეჯიბრება საზე…მოდ დაიხურა. ბრძოლის პერიპე…ტიებზე მოგითხრობთ ჩვენი გაზე…ის შემდეგ ნომერში. ახლა გთავა…ზობთ ქალთა შეჯიბრების ტექნი…კურ შედეგებს.

…რბენა. 200 მ. ლ. მასლაკოვა („ბურევესტნიკი“) — 23,48, თ. პროროჩენკო (სოფლის სპორტსაზოგადოებები) — 23,50, მ. ქამალეტდინოვა („ზენიტი“) — 24,39, რ. მალოვა („ბურევესტნიკი“) — 24,60, ე. კელჩევსკაია („ზენიტი“) — 24,66, მ. არენტე (სოფლის სპორტსაზოგადოებები) — 24,71.

**400 მ.** მ. კულჩუნოვა („სპარტაკი“) — 51,40, ი. ბაგრიანცევა („დინამო“) — 52,68, ლ. ზენინა („შრომითი რეზერვები“) — 53,53, ა. ალდაშინა („ტრუდი“) — 53,66, ი. ჩემინა („შრომითი რეზერვები“) — 53,95, ვ. გრაცე (განა) — 54,15.

**800 მ.** ტ. პროვოდოხინა („სპარტაკი“) — 1.58,63, ზ. რიგელი („სპარტაკი“) — 1.59,2, ს. სტირკინა („სპარტაკი“) — 1.59,2, ნ. მუშტა („ტრუდი“) — 1.59,7, მ. კემპფერტი (გდრ) — 2.00,9, ი. ჩერხლანოვა (ჩეხოსლოვაკია) — 2.02,1.

**3000 მ.** რ. ბელოუსოვა („სპარტაკი“) — 9.00,06, ნ. შპირიკოვა — 9.16,4, გ. გოლოვინსკაია (ორივე — შეიარაღებული ძალები) — 9.17,0, ნ. ჩერნოპიატოვა („სპარტაკი“) — 9.18,6, მ. ბისტრიხი (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) — 9.19,6, გ. ჩერტანოვა („სპარტაკი“) — 9.25,2.

თარჯრბენი. **110 მ.** ტ. ანისიმოვა („ბურევესტნიკი“) — 13,10, ლ. მორგულინა („დინამო“) — 13,13, ნ. ლებედევა (შეიარაღებული ძალები) — 13,21, ი. ლიტოვჩენკო („ლოკომოტივი“) — 13,42, ტ. კლაუსი (გდრ) — 13,60, ლ. ნიკიტენკო („დინამო“) — 13,89.

**400 მ.** თ. ზელენცოვა (შეიარაღებული ძალები) — 57,48, მ. მაკეევა („ტრუდი“) — 57,88, ი. ბარკანე („დინამო“) — 57,98, ე. კოლესნიკი („ავანგარდი“) — 58,12, ტ. ზუბოვა („სპარტაკი“) — 59,28, ა. კოსტეცკაია („შრომითი რეზერვები“) — 59,81.

**ხტომა. სიგრძეზე.** ვ. ბარდაუსკენე („დინამო“) — 673, ი. ტიმოფეევა („ზენიტი“) — 642, გ. სემიონოვა („ბურევესტნიკი“) — 636, ფ. ჩირდელი (უნგრეთი) — 620, გ. კარტუშინა (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) — 617, თ. სკაჩკო („ავანგარდი“) — 611.

**ბადროს ტყორცნა.** ნ. გონჩაროვა („ზენიტი“) — 64,80, ლ. ისაევა („შრომითი რეზერვები“) — 63,88, ს. პეტროვა („დინამო“) — 62,06, ნ. არხიმენკო („ზენიტი“) — 60,18, გ. სავენკოვა — 59,36, თ. ბერეჟნაია (ორივე — „დინამო“) — 59,06.

**ბირთვის კვრა.** თ. ბუფეტოვა (შეიარაღებული ძალები) — 19,92, ს. კრაჩევსკაია („დინამო“) — 19,85, ს. მელნიკოვა („ტრუდი“) — 18,63, ვ. კოტი („კოლოსი“) — 17,96, ნ. ზუბეხინა („ტრუდი“) — 17,87.









სურათებზე: ზევით — შუბის ტყორცნაში გამარჯვებულნი ნ. ნიკონოროვა (მარცხნივ) და ნ. გრიბნიოვი (ორივე — სსრ კავშირი); 5000 მეტრზე რბენის მომენტი და გამარჯვებული მ. იფტერი (ეთიოპია).

გ. დოლენჯაშვილისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები.

---

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

**ფეხბურთი**

# „არარატთან“ — 0 : 0

ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 17 ივნისი.

„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

„არარატი“: ოვსეპიანი, გევორქიანი, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ბონდარენკო, ქეროფიანი (მინასიანი), ან. ხაჩატრიანი, ოგანესიანი, კასაბოღლიანი.

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ბაზაზაშვილი), მ. მაჩაიძე, ქორიძე (გ. მაჩაიძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი ე. შკლოვსკი (მოსკოვი). გაფრთხილებულია კანთელაძე.

დუბლიორები — 0:1. გოლი გაიტანა კოპალეიშვილმა.

ჩემპიონატის ბოლო 3 ტურში ზედიზედ განცდილმა სამმა დამარცხებამ ერევნელთა გუნდი არასახარბიელო სატურნირო სიტუაციაში მოაქცია და რთული პრობლემების წინაშე დააყენა. ერევნელებს ახლა ჰაერივით ესაჭიროებათ გამარჯვება და მისი განაღდება მათ თბილისის დინამოელებთან შეხვედრის დასაწყისშივე სცადეს. მასპინძლებმა ზედიზედ განახორციელეს შეტევები, რამდენიმეჯერ დაარტყეს კარში (ბონდარენკო, კასაბოღლიანი, ანდრეასიანი), მაგრამ თბილისელებმა ეს იერიშები წარმატებით მოიგერიეს, მერე კი თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, რასაც რამდენიმე კრიტიკული ვითარება მოჰყვა „არარატის“ კართან. ორჯერ მოიგერია ოვსეპიანმა ქუთხურზე ყიფიანის დარტყმები, შემდეგ ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ შენგელიას, გუცაევს. 53-ე წუთზე გუცაევმა შეასრულა გარღვევა, მიაწოდა ბურთი ცენტრში, სადაც შენგელია თითქმის მარტო იმყოფებოდა ცარიელი კარის წინ. ეს საუკეთესო შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

საბოლოოდ, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

**უმაღლესი ლიგა**

**16 ივნისს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“ შორის.

პირველ წარმატებას მიაღწიეს ტაშკენტელებმა — ანგარიში გახსნა ჩურკინმა. საპასუხო გოლი გაიტანა ხრაბროსტინმა — 1:1.

---

### სსრ კავშირის პირველობა

•

**I ლიგა**

## ახალი გამარჯვება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0 (1:0).

„ტორპედო“: მჭედლიძე, სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, ძებისაშვილი, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია (გვაძაბია), ფესტვენიძე, ა. კვერნაძე (შელია), ხუცურაული (კვაჭანტირაძე).

„კოლხოზჩი“: კუროჩკინი, ვინიცკი, დურდიევი, ბოგდანოვი, ვოვკი, ურაზსახატოვი, ბერდიევი, კონსტანტინოვი (გურბანი), გრაჩოვი (ყურბანოვი), ნეგიროვი, კირილოვი (ამანოვი).

მსაჯი მ. გუშჩევი (კუიბიშევი).

დუბლიორები — 1:2.

ლიდერთა ჯგუფში მყოფ ტორპედოელთათვის პრობლემად არ უნდა ქცეულიყო 2 ქულის აღება აშხაბადის „კოლხოზჩისთან“ და ისიც საკუთარ მინდორზე. გამარჯვება არც ქცეულა პრობლემად. მასპინძლებმა შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე დასაწყისში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. კუროჩკინს თავიდანვე გაუჩნდა მძიმე სამუშაო, მე-11 წუთზე მისი კარი ძელმა იხსნა სულაქველიძის დარტყმის შემდეგ.

ქუთაისელთა შეტევებს შედეგი საკმაოდ მალე მოჰყვა. მე-17 წუთზე ბურკაძე დრიბლინგით გავიდა რამდენიმე მცველს შორის, მიაწოდა ცენტრში და აქ მინდვრის სიღრმიდან წამოსულმა მელიქიამ ეფექტური გოლი გაიტანა — 1:0.

„ტორპედოს“ ინიციატივა არ დაუთმია, გუნდი კვლავ და კვლავ უტევდა, მაგრამ სათანადოდ ვერ იყენებდა „კოლხოზჩის“ კართან არსებულ მომენტებს. სტუმრების მცველები ხშირად მიმართავდნენ ხელოვნურად შექმნილ თამაშგარე მდგომარეობას, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში, 79-ე წუთზე, ისინი შეცდნენ, რითაც კარგად ისარგებლა ფესტვენიძემ და პირისპირ გავიდა აშხაბადელთა მეკარესთან. მისმა დარტყმამ საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს.

თ. ხარაბაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

**სხვა მატჩები:** „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 4:0, ასკ (ოდესა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 1:1.

---

## საქართველოს სპორტკომიტეტში

**რესპუბლიკაში** ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ილია ტლაშაძე დაჯილდოვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

**ჭადრაკი**

## დაწინაურდნენ მასპინძლები

გრძელდება საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის I საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის 16 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს დიდოსტატი ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 8 ქულა. მის უახლოეს მეტოქეს დიდოსტატ ლ. ალბურტს (ოდესა) 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

### „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

1-ლი ტირაჟი: 2, 3, 9, 14, 29.

მე-2 ტირაჟი: 9, 17, 22, 34, 35.

---

# ქართველი ფალავნები ვროცლავის ტატამზე

**ჭიდაობა**

**ვროცლავში** გაიმართა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში გამოდიოდა სსრ კავშირის გუნდიც, რომლის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იყვნენ. ქართველი ფალავნების — თ. ნამგალაურისა (71 კგ) და ტ. ლოლაშვილის (95 კგ) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ გაიარეს მთელი ტურნირი და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

მათ გარდა საბჭოთა სპორტსმენებიდან გაიმარჯვა ზ. კირიმოვმა (60 კგ) და ვ. ზინიაკოვმა (86 კგ).

---

**მოსწავლეთა** აღზრდაში გამოცდილი პედაგოგი რომ დიდ როლს ასრულებს, ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. ყოველგვარი დისციპლინის ათვისება სწორედ საქმეში ღრმად ჩახედული პედაგოგის მეშვეობით ხდება. საქმეს მარტო ნიჭი ვერ შველის. ახევეა სპორტშიც. ალსაზრდელს მეტად სჭირია იმ პედაგოგისა, რომელიც მისი იდეალი იყო. ამ მხრივ ჩვენში კარგი ტრადიცია არსებობს. გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლები. მოზარდ სპორტსმენთა აღზრდას სათავეში ჩაუდგნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც არიან: მიხეილ მესხი, ჯემალ ცერცვაძე,

## გამოცდილების, ოსტატობის ესტაფეტა

ნუგზარ ასათიანი, ვიქტორ სანეევი... ჩვენის აზრით ცნობილ სპორტსმენთა ბავშვთა სპორტულ სკოლებში პედაგოგებად მოწვევის ტრადიცია უნდა გავრცელდეს სპორტის ყველა სახეობაზე. პედაგოგიურ მოღვაწეობაში უნდა ჩაერთოს ჩვენი ცნობილი ფალავანი ლევან თედიაშვილი. იგივე ითქმის კრივზეც.

ჩვენ გვყავს შესანიშნავი ქართველი მოკრივე დავით კვაჭაძე, რომელსაც დიდი გამოცდილებაც აქვს პასუხისმგებლობის გრძნობაც, პედაგოგიური ალღოც და დიდი კეთილსინდისიერებაც. ამიტომაც უნდა მიეცეს მას ყოველგვარი საშუალება წარუძღვეს კრივის სპეციალიზებულ ბავშვთა სკოლას, შემოიკრიბოს გარშემო ახალგაზრდა პედაგოგთა კადრები და თავისი ღრმა ცოდნა უწილადოს მოსწავლეებსა და დამწყებ პედაგოგებს.

ე. გიორგაძე,

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# პეტროსიანის კურთხევა

**1961 წლის** სექტემბერში მ. ბოტვინნიკი თბილისში გვეწვია. იგი პირველად იყო საქართველოში. მსოფლიო ჩემპიონს დავათვალიერებინეთ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. რუსთაველის პროსპექტზე გასეირნებისას ვაჩვენეთ პატარა ეზო, სადაც ტ. პეტროსიანმა ბავშვობა გაატარა და მის მოპირდაპირე მხარეს რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელშიც 1959 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ყოველივე ამას ბოტვინიკი ინტერესით შეხვდა. თითქოს გრძნობდა, რომ ეცნობოდა თავის მომავალ მეტოქეს.

მართლაც, 1961 წლის შემოდგომაზე პეტროსიანმა მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი, მერე ციურიხის საერთაშორისო ტურნირში მეორე პრიზი დაიმსახურა. 1962 წელი კი მთლიანად მის ბენეფისად იქცა.

თებერვალ-მარტში პეტროსიანი



და სსრ კავშირის 28-ე ჩემპიონატის პრიზიორები ე. გელერი, ვ. კორჩნოი და ლ. შტეინი მონაწილეობენ სტოკჰოლმის V საზონათაშორისო ტურნირში. ამ ოცდასამკაციან შეჯიბრებას ფიდე-მ გამოუყო პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის ექვსი საგზური. პერსონალურად მხოლოდ მ. ტალი და პ. კერესი მიიწვია, როგორც პრეტენდენტთა 1959 წლის ასპარეზობის პრიზიორები.

პეტროსიანმა დაუმარცხებლად განვლო მარათონული დისტანცია და გელერთან ერთად II-III ადგილები გაიყო (15 ქულა თითოეულს). პრეტენდენტებში გავიდნენ, აგრეთვე, რ. ფიშერი (I ადგილი, 17,5 ქულა), კორჩნოი, მ. ფილიპი (IV-V, 14-14) და პ. ბენკო (VI, 13,5).

გაზაფხულზე პრეტენდენტები ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კუნძულ კიურასაოზე შეიკრიბნენ, სადაც მაის-ივნისში მათი ოთხწრიანი მატჩ-ტურნირი გაიმართა. ცხელმა, უჩვეულო ჰავამ, უცხო გარემომ როდი გაანელა მოჭადრაკეთა ინტერესი. ბრძოლას მხოლოდ ტალმა ვერ გაუძლო, ავად შეიქნა და მეოთხე წრეში შეჯიბრებას გამოეთიშა.

მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლება მოიპოვა პეტროსიანმა (I ადგილი, 17,5 ქულა). II-III ადგილები გაიყვეს კერესმა და გელერმა (17-17, მერე კერესმა მოუგო გელერს დამატებითი მატჩი III ადგილისთვის). შემდეგ იყვნენ — ფიშერი (14), კორჩნოი (13,5), ბენკო (12), ტალი და ფილიპი (7-7).

პეტროსიანმა მიკრო-მატჩები მოუგო ფიშერს (+1=3), კორჩნოის (+2=2), ბენკოს (+1=3) და ყაიმით დამთავრა ყველა შეხვედრა კერესთან და გელერთან. როგორც ხედავთ, ეს ძნელი ტურნირიც პეტროსიანმა დაუმარცხებლად ჩაატარა.

ტიგრან პეტროსიანმა (17. VI. 1929) ჭადრაკის თამაში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ისწავლა. მისი მწვრთნელი იყო ოსტატი ა. ებრალიძე. 16 წლის ტიგრანი თბილისის, საქართველოს და ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონია. 17 წლისამ მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება, 23 წლისამ — დიდოსტატის. 1952 წლიდან იგი სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობს მსოფლიო პირველობის გათამაშებაში. მან დაუსწრებლად დაამთავრა ერევნის პედაგოგიური ინსტიტუტი და ბოტვინიკთან ორთაბრძოლის სტარტამდე დაიცვა ფილოსოფიაში საკანდიდატო დისერტაცია — „ლოგიკა ჭადრაკის თამაშში".

ბოტვინიკი სერიოზულად ემზადებოდა პეტროსიანთან საპაექროდ, რადგან იცოდა, რომ აღარ ჰქონდა მატჩ-რევანშის უფლება. ტალთან შეხვედრის შემდეგ მან გაიმარჯვა ჰასტინგსის 1961 წლის საშობაო და სტოკჰოლმის 1962 წლის საერთაშორისო ტურნირებში. შემოდგომაზე პეტროსიანთან ერთად მონაწილეობა მიიღო XV საჭადრაკო ოლიმპიადაში (ვარნაში), სადაც საბჭოთა გუნდმა მეექვსედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

და აი, 1963 წლის 23 მარტს მოსკოვის ესტრადის თეატრში დაიწყო ბოტვინიკ — პეტროსიანის მატჩი (დამთავრდა 20 მაისს). მეტოქეებს 24 პარტიაში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა. ბოტვინიკს ერთი უპირატესობა ჰქონდა: ყაიმი (12:12) ტიტულს უნარჩუნებდა.

I პარტიაში ბოტვინიკმა გაიმარჯვა. პეტროსიანმა გვიამბო, რომ თამაში კარგად აეწყო, მაგრამ ძალიან ღელავდა. „ჩემს თვალწინ გაირბინა მძიმე ბავშვობამ. აღელდი, როცა წარმოვიდგინე რამდენს მივაღწიე უცნობი თბილისელი მეეზოვის შვილმა, რომ ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრში მოვექეცი". მაგრამ პეტროსიანმა მალე დაიბრუნა სულიერი სიმშვიდე და გამოცდილ ჩემპიონს ღირსეული ბრძოლა გაუმართა.

აი, როგორ წარიმართა იგი: 0:1, 0,5:1,5, 1:2, 1,5:2,5, 2;5:2,5, 3:3, 4:3, 4,5:3,5, 5:4, 5,5:4,5, 6:5, 6,5:5,5, 7:6, 7:7, 8:7, 8,5:7,5, 9:8, 10:8, 11:8, 11,5:8,5, 12:9, 12,5:9,5 (+5—2=15).

პეტროსიანი ამბობს, რომ მატჩის ბედი გადაწყვიტა XVIII პარტიამ. „ვიგრძენი, რომ ბოტვინიკი დაიღალა. ამას გადაღლებულმა პარტიებმა შეუწყვეს ხელი. ბოტვინიკის დამარცხების მიზეზი ასაკიცაა" (ამ დროს 52 წლის იყო). სპეციალისტების შეხედულებით პეტროსიანმა გაიმარჯვა ღრმა სადებიუტო მომზადებით, დიდი მოთმინებით და ენდშპილის თამაშის ვირტუოზული ტექნიკით.

„რატომ წავაგე მატჩი?" — ასეთი სათაურით დასტამბა ბოტვინიკმა წერილი ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალ „ჩესს ეორლდში". იგი წერს: „ახალი მსოფლიო ჩემპიონი თავისი სტილით არსებითად განსხვავდება სხვა დიდოსტატებისგან. ძნელი საქმეა შეეწყო მის თამაშს. პეტროსიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაცვის ფუნქციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს". ჩანს, რომ ბოტვინიკმა ალღო ვერ აუღო პეტროსიანის სტილის თავისებურებას.

პეტროსიანის დიდი შრომა და ბრძოლა დაგვირგვინდა მეცხრე მსოფლიო ჩემპიონად საზეიმოდ მისი გამოცხადებით.

**თ. გიორგაძე.**

* * *

სურათზე: მეცხრე მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ტიგრან პეტროსიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტული ბილიკებით.

ა. ბურასაშვილის ფოტო.

# მსოფლიო ჩემპიონატი: ციფრები, მოსაზრებანი

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატზე არგენტინაში, ტურებს შორის შესვენებებში, სტატისტიკოსები აქვეყნებენ თავიანთ გამოანგარიშებებს, გაზეთები — პროგნოზებს, მწვრთნელები გამოთქვამენ მოსაზრებებს და ა. შ.

1.210.000 მაყურებელი დაესწრო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის განვლილ 28 შეხვედრას და მოსალოდნელია, რომ აქაურ მსოფლიო ჩემპიონატზე მაყურებელი მეტი იქნება, ვიდრე ეს იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე 1974 წელს. იქ 38 მატჩს დაესწრო 1.770.000 მაყურებელი.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატების დონეზეა საერთო შედეგიანობაც — 71 გატანილი გოლი, ე. ი. საშუალოდ 2,53 ბურთი ყოველ მატჩში. ჯერჯერობით ყველაზე აგრესიულია ჰოლანდიელთა გუნდი, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა წინასწარი ტურნირის 3 შეხვედრაში და 5 — მეორე წრის მატჩში ავსტრიელებთან.

გათამაშების საუკეთესო სნაიპერები არიან ჰოლანდიელი რენსენბრინკი და პერუელი კუბილასი — 5-5 გოლი. კუბილასი ჯერ კიდევ მექსიკის მსოფლიო პირველობაზე თამაშობდა 1970 წელს და ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ახლა გატანილი აქვს 10 ბურთი, იმდენივე, რამდენიც პელეს. აბსოლუტური რეკორდსმენია გ. მიულერი (გფრ) — 14. ერთ ჩემპიონატში გატანილი ბურთების რაოდენობით კვლავ წინაა ფრანგი ჟ. ფონტენი: 13 გოლი 1958 წელს შვეციაში.

არგენტინაში არბიტრები გადამჭრელ ზომებს მიმართავენ უდისციპლინო ფეხბურთელთა მიმართ. ისინი ძირითადად ებრძვიან უხეშ თამაშს, მაგრამ შეიძლება გავიხსენოთ, ვთქვათ, ის მომენტიც, როცა ფრანგების ნახევარმცველმა პლატინიმ უკმაყოფილება გამოთქვა მსაჯის რომელიღაც გადაწყვეტილების გამო და იქვე მიიღო ყვითელი ბარათი, რეგისტრირებულია 28 გაფრთხილება, ე. ი. საშუალოდ თითო — ყოველ თამაშზე, და 2 გაძევება.

არგენტინაში გამგზავრებისას შოტლანდიელ ფეხბურთელებს აეროპორტში 20 ათასი მაყურებელი აცილებდა, უკან დაბრუნებულ გუნდს კი გლაზგოს აეროპორტში შეხვდა სულ 40 კაცი, ძირითადად ახლო მდებარე სკოლის მოსწავლეები. მწვრთნელმა ა. მაკლეოდმა, რომელიც დიდ დაპირებებს იძლეოდა არგენტინაში გამგზავრების წინ, უარი თქვა ინტერვიუ მიეცა ჟურნალისტებისთვის და უსიტყვოდ გაემართა შინისკენ.

საწინააღმდეგო სურათი იყო ტუნისში, იქაური გულშემატკივრები აღფრთოვანებული შეხვდნენ თავიანთ ფეხბურთელებს, რომლებმაც საუკეთესო თამაში აჩვენეს მსოფლიო ჩემპიონატზე.

განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა იტალიისა და გფრ-ის გუნდების შეხვედრამ. იტალიელთა მწვრთნელი ე. ბეარზოტი კვლავ გამოთქვამს უკმაყოფილებას: „მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ მე კვლავ დავრწმუნდი, რომ მსაჯს შეეძლო ორი პენალტი დაენიშნა გერმანელთა კარში. ჩვენ ვეთამაშეთ გუნდს, რომლის ყველა ფეხბურთელი კარში იდგა. მათ 70 მეტრი თავისუფალი სივრცე მოგვცეს, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით ვერ შევძელით".

პელემ აღნიშნა, რომ გფრ-ის ფეხბურთელებმა ამჯერადაც შეასრულეს თავიანთი გეგმა იტალიის ძლიერ გუნდთან მატჩში და, საერთოდ, ისინი გამოიყურებოდნენ უკეთ, ვიდრე წინა მატჩებში.

ჰოლანდიელებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს თავიანთი მაღალი შედეგიანობით ავსტრიის გუნდთან შეხვედრაში და მაშინ, როცა მათ რიგებს აკლდნენ იონგბლადი, სურბიერი, რაიბერგენი, ნეესკენსი.

არგენტინის ქალაქებს შორის ძლიერი ნისლის გამო კვლავ ირღვევა თვითმფრინავით ფრენის გრაფიკი. გერმანელებმა ვერ შეძლეს მატჩის შემდეგ გაფრენა თავიანთ საწვრთნელ ბანაკში და ზედმეტი დღე დაჰყვეს ბუენოს-აირესში. ბრაზილია — პერუს მატჩის მსაჯი ნ. რაინეა (რუმინეთი) მენდოსამდე მატარებლით მგზავრობდა 18 საათს და ძლივს მიუსწრო თამაშის დაწყებას.

ნახევარფინალური ჯგუფების II ტურის მატჩები, რომლებიც დღეს შედგება, საყოველთაო ინტერესს იწვევს. თამაშობენ ბრაზილია — არგენტინა, გფრ — ჰოლანდია, იტალია — ავსტრია, პერუ — პოლონეთი. (საქინფორმ).

## კალეიდოსკოპი

**წითელ** და ყვითელ ბარათებს, რომლებიც უდისციპლინო ფეხბურთელებისთვის არის განკუთვნილი, დაემატა თეთრი და ცისფერი ბარათებიც. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ეს ორი უკანასკნელი ჟურნალისტებისთვის არის დაწესებული — თეთრი ბარათის ამოღების შემთხვევაში ისინი საჭიროებენ თარჯიმანს, ხოლო ცისფერის დროს—სასწრაფო დახმარებას.

**რიო-დე-ჟანეიროს** ტელევიზორების გამქირავებლებმა პუნქტმა ერთი კვირის განმავლობაში გულშემატკივრებს 260.000 ტელევიზორი მიაქირავა.

**ჩემპიონატში** მონაწილე 352 ფეხბურთელიდან 235-მა უკვე მიიღო მონაწილეობა პირველი რაუნდის მატჩებში. 35 მოთამაშემ პირველად ჩაიცვა ეროვნული ნაკრების მაისური. მხოლოდ 118 ფეხბურთელმა დაჰყო მინდორზე მთლიანად 90 წუთი.

გფრ-ის ნაკრები ერთადერთი იყო, რომელსაც არც ერთი ფეხბურთელი არ შეუცვლია.

**„სკუადრა აძურას"** წარმატებამ დიდი ზეიმი და ავიოტაჟი გამოიწვია იტალიაში. რომის ქუჩებში გაძნელდა მოძრაობა — გამუდმებული საყვირები, ავტოჯირითი. ჩალეწილია რამდენიმე დიდი მაღაზიის ვიტრინა, გადაბრუნებულია ავტომობილები. არის მსხვერპლიც.

**352 ფეხბურთელიდან,** რომლებიც არგენტინაში იმყოფებიან, 56 მონაწილეობდა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ მხრივ რეკორდსმენია ჰოლანდიის ნაკრები, რომელსაც თავის რიგებში 13 ვეტერანი ჰყავს. შემდეგ მოდიან პოლონეთი (9) და გფრ (7). ესპანელი პირი და მაიერი (გფრ) ჯერ კიდევ ინგლისის 1966 წლის პირველობაზე იცავდნენ თავიანთი ქვეყნის ღირსებას.

**ფიფა-ს** სპეციალურმა კომისიამ მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება მეორე ფინალური წრის დაწყების შემდეგ შეამოწმოს არა 2, არამედ 4 ფეხბურთელი თითოეული გუნდიდან დოპინგის წინააღმდეგ.

**82 წლის** ასაკში მადრიდში გარდაიცვალა ესპანეთის ცნობილი კლუბის „რეალ მადრიდის" პრეზიდენტი სანტიაგო ბერნაბეუ.

რედაქტორის მაგიერ
ა. გოგოლაშვილი.


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

21 ივნისი

ფეხბურთი

მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე
„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 19 და 20 ივნისს დილის 10 საათიდან; საერთო გაყიდვა — 21 ივნისს 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში; აბონემენტებით — 19 და 20 ივნისს დილის 10 საათიდან.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-51.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07893